



ProCredit Bank

ეკო მობილობა - პროკრედიტ ბანკი

საინფორმაციო ბროშურა

www.procreditbank.ge

რა არის ეკო-მობილობა?

ეკო-მობილობა ელექტროძრავით სრულად ან ნაწილობრივ აღჭურვილ სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებას მოიცავს, რომელთა უმეტესობას მრავალჯერადი დატენვის ბატარეა აქვს და წიაღისეული საწვავის გამოყენების ეფექტურ ალტერნატივას წარმოადგენს.



რატომ არის ეკო-მობილობა უკეთესი გადაწყვეტილება?

ელექტრო ავტომობილის წარმოების პროცესში, ერთი ტონით მეტი CO₂ წარმოიქმნება, შიგაწვის ძრავიან ავტომობილის წარმოებასთან შედარებით.

თუმცა ...

ელექტრო მანქანას ბევრად მეტი სარგებელი აქვს, წიაღისეულ საწვავზე მომუშავე ავტომობილთან შედარებით:

- საწვავისა და ტექ-მომსახურების შემცირებული ან ნულოვანი ხარჯები
- ნაკლები დაბინძურება
- ბატარეების გამოყენება ენერჯის შესანახად საყოფაცხოვრებო და კომერციული შენობებისთვის.
- ნულოვანი საბაჟო და პარკინგის გადასახადი

საინტერესო ფაქტები

ევროკავშირში, ნახშირორჟანგის ემისიის 27% ტრანსპორტზე მოდის, რომლის ორ მესამედზე მეტს მსუბუქი ავტომანქანები და ფურგონები წარმოქმნიან.¹

ევროკავშირში ელექტრო და plug-in ჰიბრიდული მანქანების მოდელების რაოდენობა, 2025 წლისთვის, 333 მოდელამდე² გაიზრდება. 2018 წლისთვის, ამ მოდელების რაოდენობამ 60 შეადგინა.

ელექტრო მანქანების გავლენას გარემოზე მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის მიერ ელექტროენერჯის გამომუშავების წყარო. პოზიტიური გავლენა იზრდება, განახლებადი ენერჯის წილის ზრდასთან ერთად.

ელექტრო მანქანა ახალ გამოგონებას არ წარმოადგენს. პირველი ელექტრო მანქანა უნგრელმა ინჟინერმა 1828 წელს შექმნა.³

პროგრედიტ ჯგუფის 2018 წლის ეკოლოგიური მაჩვენებლები

- პროგრედიტის ავტოპარკის მიერ ემისირებული ნახშირორჟანგის 18%-ს ჰიბრიდული ავტომანქანები წარმოქმნის, ელექტრო ავტომანქანები კი მხოლოდ 3%-ს.



იცით თუ არა, რომ

ჯგუფის მასშტაბით ელექტრო და plug-in ჰიბრიდული მანქანების წილი ავტოპარკში, 2018 წელს წინა წელთან შედარებით, 31%-დან 57%-მდე გაიზარდა.



28% ელექტრო ავტომანქანა

32% ჰიბრიდული ავტომანქანა


40% სსპა

2019 წლის ივნისის მდგომარეობით


პროგრესიტი ჯგუფის გარემოსდაცვითი შედეგები 2018 წელს

ეკო-მობილობის მიმართულებით პროგრესიტი ბანკი ორი მთავარი მიზნის მიღწევას ცდილობს.

1. გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად, ავტოპარკში წიაღისეულ საწვავზე მომუშავე ავტომანქანების ელექტრო და plug-in ჰიბრიდებით ჩანაცვლება მიმდინარეობს.



2. ბიზნეს კლიენტებისა და ფიზიკური პირებისთვის ეკო-მობილობის დაფინანსება და დიდ ქალაქებში ელექტრო მანქანების დამტენი სადგურების დამონტაჟება, მიზნად ისახავს გარემოსადმი მეგობრული ელექტრო და plug-in ჰიბრიდული ავტომობილების გამოყენების და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას.



შიგაწვის ძრავიანი ავტომობილის ყველაზე

გავრცელებული ალტერნატივები საქართველოში

ჰიბრიდული ელექტრო მანქანა (HEV)

ჰიბრიდული ელექტრო მანქანა შეიცავს როგორც შიგაწვის ძრავას, ასევე ელექტრო ძრავას. ელექტრო ძრავა იმუხტება შიგაწვის ძრავის საშუალებით, საწვავის (დიზელი ან ბენზინი) მოხმარების შესამცირებლად. გარედან მისი დატენვა შეუძლებელია.

საქართველოში ჰიბრიდული ელექტრო მანქანების წილი მთლიან ავტოპარკში დაახლოებით 15%-ს შეადგენს.



plug-in ჰიბრიდული ელექტრო მანქანა (PHEV)

plug-in ჰიბრიდული ელექტრო მანქანა იგივეა, რაც ჰიბრიდული ელექტრო მანქანა, იმ განსხვავებით, რომ ბატარეის დენის წყაროდან დატენვის შესაძლებლობა აქვს.

საქართველოში plug-in ჰიბრიდული ელექტრო მანქანების წილი მთლიან ავტოპარკში 1%-ზე ნაკლებია.



ელექტრო ველოსიპედი (ელ-ველოსიპედი)

ელ-ველოსიპედი ელექტროძრავის საშუალებით გადაადგილდება, ბატარეის დაკდომის შემთხვევაში კი, მისი მართვა პედლებით (მექანიკურად) ხორციელდება.

საქართველოში ელექტრო ველოსიპედების გამოყენება ჯერ-ჯერობით არ არის გავრცელებული პრაქტიკა.



ელექტრო მანქანა (EV)

ელექტრო მანქანა ელექტრო ძრავზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებაა, რომელიც საერთოდ არ იყენებს წიაღისეულ საწვავს. ბატარეა იტენება დენის წყაროს გამოყენებით.

საქართველოში ელექტრო მანქანების წილი მთლიან ავტოპარკში დაახლოებით 1%-ს შეადგენს და მუდმივად იზრდება.



ეკო-მობილობა პროკრედიტ ბანკი საქართველოში

პროკრედიტ ბანკი ერთ-ერთი პირველი ორგანიზაციაა, რომელმაც ჰიბრიდული და ელექტრო მანქანების გამოყენება დაიწყო და ამით განამტკიცა თავისი მოწინავე როლი მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის საქმეში.

ამჟამად, პროკრედიტ ბანკი საქართველო 9 ელექტრო მანქანას ფლობს, რომელსაც ბანკის თანამშრომლები იყენებენ სამუშაო პროცესში. ერთი სრული დატენვით შესაძლებელია ელექტრო მანქანით ქალაქში და მის შემოგარენში შეუფერხებლად გადაადგილება.

ეს კარგი მაგალითია მომხმარებლებისთვის, რომ მათაც გაუჩნდეთ ელექტრო მანქანის შექენის სურვილი.



მაკრინე ფარჯიანი, ბიზნეს კლიენტთა მრჩეველი

„კლიენტებთან ბიზნეს ობიექტზე ვიზიტს ელექტრო მანქანით ვახორციელებ, მოკლე მანძილზე გადასადგილებლად ძალიან კომფორტულია, უხმაუროა, გამონაბოლქვი არ აქვს და ხაზს უსვამს ბანკის გარემოსადმი მეგობრულ მიდგომას.“

საქართველოში ელექტრო მანქანები ერთი ერთეული ენერჯის მოხმარებისას გამოყოფენ 78%-ზე ნაკლებ ნახშირორჟანგს (CO₂), შიგაწვის ძრავიან მანქანებთან შედარებით.

ელექტრო მანქანების საშუალებით ბანკმა საწვავის მოხმარება შეამცირა: 25.3%-ით 2019 წლის პირველ ნახევარში 2018 წლის იგივე პერიოდთან შედარებით. 17.8%-ით 2018 წელს 2017 წელთან შედარებით.

	ელექტრო მანქანა	სტანდარტული მანქანა
CO ₂ ემისია 100 კმ-ზე	1.7 კგ	16.9 კგ
მანძილი კილომეტრებში 2019 წლის პირველი ნახევარი	29 956 კმ	72 142 კმ
CO ₂ ემისია 2019 წლის პირველი ნახევარი	509 კგ	12 192 კგ

ამასთან, ბანკი ხელს უწყობს ეკო-მობილობას მომხმარებლებს შორის. ეკო-მობილობის ფარგლებში, ელექტრო მობილების შესაძენად პროკრედიტ ბანკი კლიენტებს დაფინანსების ახალ შესაძლებლობას სთავაზობს. სესხის მინიმალური თანხა 15 000 ლარს შეადგენს, 60 თვემდე დაფარვის ვადით.

წყარო

¹ ტრანსპორტი და გარემო, ვებგვერდი (2018), <https://www.transportenvironment.org/publications/co2-emissions-cars-facts>

² ტრანსპორტი და გარემო, ვებგვერდი (2019), <https://www.transportenvironment.org/publications/electric-surge-carmakers-electric-car-plans-across-europe-2019-2025>

³ საინტერესო ინჟინერია, ვებგვერდი (2019), <https://interestingengineering.com/the-interesting-history-of-electric-cars>